

# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

შტამპის ადგილი

| | | |
|---|---|---|
| საქმე №3/6189-18 | ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი | ნათია ბუსკაძე |
| | მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მოსამართლის სახელი და გვარი |

## მოპასუხე: შენიშვნა-1

| | | |
|---|---|---|
| სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი | 21135895 7 | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) |
| ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-2 | | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2372801 | | | info@archives.gov.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოპასუხის წარმომადგენელი: შენიშვნა-3

| | | |
|---|---|---|
| სოფიო ელიაძე<br>ნინო თოფურია | 01008028374<br>01008046599 | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1<br>ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1 |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
| ალტერნატიული მისამართი | | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 577227400<br>591108395 | | seliadze@archives.gov.ge<br>nitophuria@archives.gov.ge |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## საკონტაქტო პირი: შენიშვნა-4

| | | | |
|---|---|---|---|
| გულიადა გოცირიძე | | 577340565 | ggotsiridze@archives.gov.ge |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

შენიშვნა-5

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-6

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| | | |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

შენიშვნა-7

## ცნობთ თუ არა სარჩელს?

- დიახ ☐
- არა ☒
- ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

3

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

საქართველოს ეროვნულმა არქივმა 2018 წლის 4 ივლისს მიიღო ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილი NFOI06/18-001, 29.06.18 (საქართველოს ეროვნულ არქივში რეგისტრაციის N85834, 04.07.18), რომლითაც მოითხოვა ინფორმაცია - 2013 წლიდან რამდენ მკვლევარს ეთქვა უარი საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზებში დაშვებაზე, წლების, არქივების, მოქალაქეობის, თემატიკის/ფონდების და არ დაშვების სამართლებრივი საფუძვლების მითითებით.

მტკიცებულება:

ა. (დანართი N1) ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილი N85834, 04.07.18.

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2018 წლის 29 ივნისის NFOI06/18-001 წერილი საქართველოს ეროვნულ არქივში მიღებულ იქნა და დარეგისტრირდა 2018 წლის 4 ივლისს (საქართველოს ეროვნულ არქივში რეგისტრაციის N85834).

მტკიცებულება:

ა) (დანართი N1) ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილი N85834, 04.07.18.

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ 2018 წლის 3 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილი საჩივარი საქართველოს ეროვნული არქივისთვის არ არის ცნობილი.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ამ საკითხს მოცემული საქმის სწორად გადაწყვეტისათვის არ აქვს რაიმე მნიშვნელობა.

მტკიცებულება:

ა) ადმინისტრაციული საჩივარი - იხ. საქმეში.

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ 2018 წლის 3 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილი საჩივარი საქართველოს ეროვნულ არქივისთვის არ არის ცნობილი.

არც ამ ფაქტობრივ გარემოებას აქვს მნიშვნელობა მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის.

მტკიცებულება:

ა) ადმინისტრაციული საჩივრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მიღების ბარათი - იხ. საქმეში.

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:

ა. (დანართი )

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

___________________________

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-19

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

საქართველოს ეროვნულ არქივს ინფორმაციის გაცემაზე უარი არ განუცხადებია. პასუხი არ გაიცა იმ მიზეზით, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ მოთხოვნილია ინფორმაცია (2013 წლიდან წერილის მიღების მომენტამდე - მკვლევართა დარბაზებში დაშვებაზე, წლების, არქივების, მოქალაქეობის, თემატიკის/ფონდების და არ დაშვების სამართლებრივი საფუძვლების მითითებით), რომელსაც საქართველოს ეროვნული არქივი არ ამუშავებს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია ვერ იქნებოდა სრულყოფილად მიწოდებული.

საქართველოს ეროვნულ არქივში, მკვლევართა დარბაზებში დაშვების თაობაზე, ყოველდღიურად საშუალოდ შემოდის 20 (ოცი) განცხადება, მატერიალური სახით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. საქართველოს ეროვნული არქივის მხრიდან დაინტერესებული პირისთვის მკვლევართა დარბაზებში დაშვება არ არის შეზღუდული, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. გამონაკლისს კი წარმოადგენს:

დაინტერესებული პირის მიერ არასრულად წარმოდგენილი განცხადება; დაინტერესებული პირის მიერ შეუსაბამოდ/არასწორად დაწერილი განცხადება; დაინტერესებული პირის მიერ ისეთი მასალის მოთხოვნა, რომელიც არ არის საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული; დაინტერესებული პირის მიერ აგვისტოს თვეში მკვლევართა დარბაზში დაშვების მოთხოვნა, როდესაც მკვლევართა დარბაზი დაკეტილია; დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი კონკრეტული საარქივო დოკუმენტი არ არის დამუშავებული ან/და საჭიროებს რესტავრაციას, დეზინფექციას, კონსერვაციას.

არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქე, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, აკეთებს განცხადებას ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, მაგრამ საქართველოს ეროვნული არქივის მხრიდან შეტყობინების მიუხედავად, არ ცხადდება მკვლევართა დარბაზში სამუშაოდ.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში მოქალაქეთა განცხადებები წლების, არქივების, მოქალაქეობისა და თემატიკის/ფონდების მიხედვით არ მუშავდება და არ კლასიფიცირდება, არ წარმოებს განცხადებების ამ კრიტერიუმებით აღრიცხვა/გამიჯვნა. სამწუხაროდ, რეალურად შეუძლებელია აღდგენილი იქნას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიზეზები იმისა, რის გამოც არ მომხდარა მკვლევარის მხრიდან მომსახურების მიღება (რისი მიზეზიც შესაძლებელია ყოფილიყო ნებისმიერი იმ პირობებიდან, რაც ზემოთ ითქვა, დაწყებული მაგალითად, საკუთრივ მოთხოვნილი დოკუმენტის რესტავრაციის მიმდინარეობიდან, დამთავრებული თავად მკვლევარის არმოსვლით). შესაბამისად, შეუძლებელია იდენტიფიცირება იმისა, რამდენი განცხადება დახარვეზდა; სატელეფონო შეტყობინების შემდეგ რამდენი დახარვეზებული განცხადება დაზუსტდა; რამდენ დაინტერესებულ პირს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა საარქივო დოკუმენტების ფიზიკური მდგომარეობის შესახებ; რამდენი დაინტერესებული პირი თვითონ არ გამოცხადდა და ა.შ. ეს პროცედურები არაფორმალიზებულია/არასტრუქტურიზებულია. ამ პროცედურების მარეგულირებელი ოფიციალური დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ არქივში არ არსებობს.

ჩვენ შევეცადეთ, რომ მოცემული სარჩელის მიღების შემდეგ კიდევ ერთხელ გვეცადა ასეთი ინფორმაციის აღდგენა, თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან არ არსებობს ზუსტი მონაცემები ამ თვალსაზრისით. საქართველოს ეროვნულ არქივს შეუძლია გასცეს მხოლოდ შემდეგი ინფორმაცია - 2013 წლიდან წერილის მიღების მომენტამდე სულ რამდენმა მკვლევარმა იმუშავა საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზებში. სხვა სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ეროვნულ არქივს არ მოეპოვება. ამ ინფორმაციის გამიჯვნა და დაზუსტება, მითუმეტეს 2013 წლიდან, შეუძლებელია, ვინაიდან ის მხოლოდ ზეპირ მეხსიერებას დაეყრდნობა. შესაბამისად, იქნება უზუსტო და რეალობასთან შეუსაბამო.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

7

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

## სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | რის საფუძველზე? |
| **არა** | ☒ | |

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | ვის? რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | |

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან საკუთრივ საქმე ამის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა, არ გვაქვს კონკრეტული პირობა. თუმცა, ზოგადად მორიგება ყოველთვის გამართლებულია და მზად ვართ განვიხილოთ ამ თვალსაზრისით შემოთავაზებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

*შენიშვნა-30*

## თანდართული საბუთების ნუსხა

*შენიშვნა-31 შენიშვნა-32*

დანართი 1: ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წერილი N85834, 04.07.18 - 2 ფურცელი;

დანართი 2: მინდობილობები - 2 ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა: შესაგებელი - 9 ფურცელი, თანდართული დოკუმენტები - 4 ფურცელი, სულ - 13 ფურცელი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან აღნიშნული დრო საკმარისია პოზიციის წარმოდგენისთვის.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

ი სხდომაში რადგან დავის საგანი არ წარმოადგენს რთულად განსახილველ საკითხს.

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☒

არა ☐ რადგან

შენიშვნა-36

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |
|---|---|---|
| [signature] | სოფიო ელიაძე<br>ნინო თოფურია | 13/11/2018 წ. |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

FOI06/18-001

29 ივნისი, 2018 წ.

სსიპ - საქართველოს ეროვნულ არქივს

# განცხადება

## (საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სამკითხველო დარბაზებში მკვლევარების დაშვებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წლის 1 იანვრიდან დღემდე (წლების მიხედვით ცალ-ცალკე), მკვლევარების რაოდენობა, რომლებსაც ეთქვათ უარი სამკითხველო დარბაზში დაშვებაზე ცენტრალურ და რეგიონულ არქივებში (არქივის მითითებით და მკვლევარის მოქალაქეობის მითითებით);
2. 2013 წლის 1 იანვრიდან დღემდე (წლების მიხედვით ცალ-ცალკე) თემატიკის/საარქივო ფონდების ჩამონათვალი, რომლებზეც აღნიშნულმა მკვლევარებმა გააკეთეს განაცხადი არქივში მუშაობაზე;
3. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე მკვლევარისთვის უარის თქმის იურიდიული საფუძველი.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - foi@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

მის: ალ. გრიბოედოვის ქ.№ 3, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: +995 32 292 15 14
ელ-ფოსტა: foi@idfi.ge
ვებ-გვერდი: www.idfi.ge

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი
შემოს. № 85834
04. 07 2018 წ.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

### საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## საქართველოს ეროვნული არქივი

KA011902674449318

საქართველოს ეროვნული არქივი , საქართველო, თბილისი, 0160, ვაჟა-ფშაველას გამზ.№1. ტელ.: 2376526, 2373913 ელ-ფოსტა: info@archives.gov.ge

№ 01-0/134217 12 / ოქტომბერი / 2018 წ.

### მინდობილობა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის" 96-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილებას ანიჭებს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის საორგანიზაციო განყოფილების უფროს სპეციალისტს (იურისტი), **სოფიო ელიაძეს** (პ/ნ 01008028374) იყოს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი საქართველოს სასამართლოებში და განახორციელოს შემდეგი საპროცესო მოქმედებები:

ა) სარჩელის აღძვრა;

ბ) არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემა;

გ) სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა;

დ) სარჩელის ცნობა;

ე) სარჩელის საგნის შეცვლა;

ვ) მორიგება;

ზ) სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

მინდობილობა ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გენერალური დირექტორი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად თეონა იაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი
ასლი

13

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი

## საქართველოს ეროვნული არქივი

KA011935121291318

საქართველოს ეროვნული არქივი , საქართველო, თბილისი, 0160, ვაჟა-ფშაველას გამზ.№1. ტელ.: 2376526, 2373913 ელ-ფოსტა: info@archives.gov.ge

**№ 01-0/134218** — **12 / ოქტომბერი / 2018 წ.**

### მინდობილობა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის" 96-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილებას ანიჭებს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტს (იურისტი), **ნინო თოფურიას** (პ/ნ 01008046599) იყოს სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი საქართველოს სასამართლოებში და განახორციელოს შემდეგი საპროცესო მოქმედებები:

ა) სარჩელის აღძვრა;

ბ) არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემა;

გ) სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმა;

დ) სარჩელის ცნობა;

ე) სარჩელის საგნის შეცვლა;

ვ) მორიგება;

ზ) სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება.

მინდობილობა ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

გენერალური დირექტორი — ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად — თეონა იაშვილი

საქართველოს ეროვნული არქივი
ასლი